

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

მოქმედების სფერო

9.1 წინამდებარე განყოფილება ეხება არაფინანსური აქტივების გაუფასურების აღრიცხვას, გარდა მარაგებისა (იხ. მე-6 განყოფილება - „მარაგები“).

წინამდებარე განყოფილება ძირითადად ვრცელდება აქტივებზე, რომლებიც შემდეგი განყოფილებების მოქმედების სფეროს განაკუთვნება:

- მე-7 განყოფილება - გრძელვადიანი აქტივები (ანუ ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და არამატერიალური აქტივები); და
- მე-8 განყოფილება - ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში - რომლებიც თვითღირებულების მოდელის გამოყენებით აღირიცხება.

გაუფასურება გაულისხმობს აქტივის საბაზრო ღირებულების შემცირებას, რაც წარმოიქმნება სხვადასხვა ფაქტორისგან, გარდა აქტივის მომსახურების პოტენციალის მოხმარებისა (ანუ ცვეთის გარდა სხვა ფაქტორები). სხვა სიტყვებით, გაუფასურება ასახავს აქტივის დაზიანებას, მოძველებას და სხვა არამოხმარებით ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის აქტივის გამოყენებასთან და ამცირებს აქტივის საბაზრო ღირებულებას.

აქტივების გაუფასურების შეფასება

9.2 საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ არაფინანსური აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ არსებობს ამგვარი ნიშანი, საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით უნდა განსაზღვროს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

არაფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ნიშანი (იხ. პუნქტი 9.3). საწარმოს ხელმძღვანელობამ ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

უნდა განიხილოს, ხომ არ არსებობს რაიმე ამგვარი ნიშანი და თუ არსებობს, უნდა განსაზღვროს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების საიმედოდ შეფასება ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯას მოითხოვს. თუმცა, საჭირო არ არის მოწვეული შეფასების ექსპერტის მიერ პროფესიონალური შეფასება. საწარმოს არაფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა შეუძლია როგორც აქტივის გაყიდვის ფასზე, ასევე გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით (იხ. პუნქტი 2.25). რა მეთოდს აირჩევს ხელმძღვანელობა აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების საიმედოდ შეფასების განაზღვრისათვის, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე.

სხვადასხვა საწარმომ თითქმის იდენტური არაფინანსური აქტივების შემთხვევაში შესაძლოა არგუმენტირებულად მიიღოს განსხვავებული ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, რადგან აქტივიდან ფულადი ნაკადების წარმოქმნა ისეთი სხვადასხვა გზით ხდება, როგორებიცაა:

- არაფინანსური აქტივის გამოყენება (მაგალითად, მზა პროდუქციის შესაქმნელად მისი შემდგომ მომხმარებელზე გაყიდვა);
- არაფინანსური აქტივის იჯარით გაცემა (მაგალითად, შენობის იჯარით გაცემა მოიჯარეებზე) და
- არაფინანსური აქტივის გაყიდვა.

განსხვავება, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს ხელმძღვანელობის მიერ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების პროცესში გამოყენებულმა განსხვავებულმა დაშვებებმა.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს განზრახული აქვს არაფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა გაყიდვის ფასზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობას შეუძლია მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორებსა და გარემოებებს დაეყრდნოს. მაგალითად:

- თუ საწარმო აქტივის გაყიდვის თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულებას აფორმებს, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება საწარმოს შეუძლია ხელშეკრულებაში მითითებული გასაყიდი ფასის საფუძველზე. ხელშეკრულებით, როგორც წესი, განისაზღვრება მთლიანი თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივის გაყიდვით. ამიტომ ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის მთლიან თანხას უნდა გამოაკლდეს გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
- თუ საწარმო აპირებს აქტივის გაყიდვას და არსებობს იდენტური (ან მსგავსი) აქტივის აქტიური ბაზარი, რომელიც საწარმოსთვის ხელმისაწვდომია, მაშინ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება საწარმოს შეუძლია ამ საბაზრო ფასზე დაყრდნობით, რომელსაც გამოაკლდება გაყიდვისთვის საჭირო მოსალოდენლი დანახარჯები. საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საბაზრო ფასი წარმოადგენს მტკიცებულებას იმ მთლიანი თანხის შესახებ, რომლის მიღებასაც საწარმო შეძლებს საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის გაყიდვიდან.

- თუ საწარმო აქტივის გაყიდვას აპირებს და იდენტური (ან მსგავსი) აქტივის, აქტიური ბაზარი არ არსებობს (ან საწარმოსთვის არაა ხელმისაწვდომი), მაგრამ მას შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია იდენტური (ან მსგავსი) აქტივისთვის ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებული გარიგების ფასის შესახებ, ამ შემთხვევაში საწარმოს მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება შეუძლია მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც გამოაკლდება გაყიდვისთვის საჭირო მოსალოდენლი დანახარჯები.
- თუ საწარმო აქტივის გაყიდვას არ აპირებს და მას არც იდენტური (ან მსგავსი) აქტივის ბოლოდროინდელი „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებული გარიგების ფასის დადგენა შეუძლია, ამ შემთხვევაში ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად საწარმომ უნდა გამოიყენოს დასაბუთებული მსჯელობა საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით და იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ხელმისაწვდომია მოცემული აქტივის შესაფასებლად.

იმ შემთხვევაში, თუ არაფინანსური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა უპრიანია მისი გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, მაშინ ხელმძღვანელობამ უნდა გამოიყენოს განსჯა იმის შესახებ თუ, რა სიდიდის წმინდა ფულადი ნაკადების მიღებას მოელოს საწარმო მომავალში აქტივის გამოყენებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყენების ღირებულება არის ჯამი იმ წმინდა ფულადი ნაკადებისა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელოს აქტივის გამოყენებით და მისი გამოყენების შემდეგ ამ აქტივის საწარმოდან გასვლის შედეგად. გამოყენების ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

- უნდა შეფასდეს არაფინანსური აქტივის გამოყენებით მოსალოდენლი ფულადი ნაკადების შემოდინება (მაგალითად, პროდუქციის გაყიდვიდან მოსალოდენლი მისაღები თანხა, რომლის წარმოებაც ხდება მოცემული აქტივის გამოყენებით);
- უნდა შეფასდეს საწარმოდან იმ ფულადი ნაკადების გადინება, რაც საჭიროა არაფინანსური აქტივის დანიშნულებით გამოყენებისთვის. არაფინანსური აქტივის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებულია პირდაპირ მიკუთვნებადი ფულადი ნაკადების გადინება, როგორც არის მაგალითად, პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შეძენა, პირდაპირი ხელფასებისა და საწარმოო ფართის იჯარის ხარჯი.
- უნდა შეფასდეს წმინდა ფულადი ნაკადი, რაც წარმოიქმნება არაფინანსური აქტივის გამოყენების შემდეგ საწარმოდან მისი გასვლის შედეგად (მაგალითად გამოყენების შემდგომ არაფინანსური აქტივის გაყიდვის ან ჯართში ჩაბარების გზით).

მაგალითი 1- ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება იდენტური აქტივის ბოლოდროინდელი გარიგების ფასის საფუძველზე

A საწარმომ, 01/01/20X1 თარიღისთვის გადაიხადა 20,000 ლარი სოფ. ბარდუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრემის

მოპოვების ლიცენზიისთვის. ჯამური მოპოვება 20,000 მ³, ლიცენზიის მოქმედების პერიოდი 5 წელია (ე.ი. ვადა იწურება 31/12/20X5-ში). ლიცენზიას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ნულოვან ნარჩენ ღირებულებამდე.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ლიცენზიებით ვაჭრობას (ყიდვა - გაყიდვას). მიუხედავად იმისა, რომ ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიებით ვაჭრობას რეგულარული ხასიათი არა აქვს, ლიცენზიით ვაჭრობის შესახებ ფასები საჯაროდ ხელმისაწვდომია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციის ვებგვერდზე. 20X2 წლის უკანასკნელი გარიგებები შემდეგია:

- 01/12/20X2 თარიღით შესრულდა 10,500 ლარიანი გარიგება 20,000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიისთვის, რომელსაც ვადა ეწურება 31/12/20X5-თარიღისთვის; და
- 15/01/20X3 თარიღით შესრულდა 9,750 ლარიანი გარიგება 20,000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიისთვის, რომელსაც ვადა ასევე ეწურება 31/12/20X5-თარიღისთვის.

31/12/20x2 თარიღისთვის:

- ვიდრე A საწარმოს ხელმძღვანელობა ლიცენზიებს გაუფასურებაზე შეაფასებდა, მისი საბალანსო ღირებულება იყო 12,000 ლარი (ე.ი. 20,000 ლარის თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული 8,000 ლარი დაგროვილი ცვეთა ($20,000 / 5$ წელზე = 4,000 ლარი წლიური ცვეთის ხარჯი $\times 2$ წელზე)).
- A საწარმომ მოახდინა ლიცენზიების გაუფასურების ნიშნების იდენტიფიცირება:
 - ახალი კორონა ვირუსის (Covid-19) გავრცელების შესაკავებლად შემოღებულმა საყოველთაო შეზღუდვებმა საგრძნობლად შეამცირა მოთხოვნა მშენებლობაზე, რისთვისაც ძირითადად გამოიყენება ქვიშა-ხრეში მიმდინარე პანდემიის პერიოდში (გაუფასურების ნიშნების გარე წყარო); და
 - მომხმარებლის ქცევის მკვეთრი ცვლა დიდი ალბათობით გამოიწვევს, მაღალსართულიანი კორპუსების ბინებზე მოთხოვნის შემცირებას, რაც მშენებლობის მოცულობის კლებას გამოიწვევს (გაუფასურების ნიშნების გარე წყარო).
- გაუფასურების იდენტიფიცირებული ნიშნები ლიცენზიის შესაძლო გაუფასურებაზე მიუთითებს, რადგან მისი გამოყენება სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში საწარმოს, სავარაუდოდ, ვეღარ მოუტანს დაგეგმილ ეკონომიკური სარგებელს. აქედან გამომდინარე A საწარმომ უნდა განსაზღვროს ლიცენზიის ანაზღაურებადი ღირებულება.
- A საწარმო ლიცენზიის გამოყენებას მთელი სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში გეგმავს და ხელმძღვანელობა ადგენს, რომ იდენტური ლიცენზიების ფასები, რაც ხელმისაწვდომია ბოლოდროინდელი გარიგებების მონაცემებზე დაყრდნობით, ლიცენზიების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობა მივიდა დასკვნამდე (საშუალო პროპორციულობის და სხვა მათემატიკური ფომულების გამოყენების გარეშე), რომ 01/12/20X2-თარიღის გარიგების და 15/01/20X3-თარიღის გარიგების ფასებს შორის სხვაობა დიდწილად განპირობებულია სალიცენზიო მომსახურების პოტენციალის გამოყენებით დროის ამ მონაკვეთში. ხელმძღვანელობამ 31/12/20X2 საანგარიშგებო თარიღისთვის ლიცენზიები შეაფასა 10,000 ლარად (შეამცირა 01/12/20X2-თარიღის გარიგების ფასი 10,500 ლარი), რადგან მიაჩნია, რომ ეს ფასი სამართლიანად ასახავს ლიცენზიების ანაზღაურებად ღირებულებას.

მაგალითი 2- ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება გამოყენების ღირებულების საფუძველზე

A საწარმომ 01/01/20X1 თარიღისთვის ხის დამუშავებისთვის საჭირო სახერხი დაზგა შეიძინა 60,000 ლარად. ამ მანქანა-დანადგარს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ნულოვან ნარჩენ ღირებულებამდე.

- A საწარმომ მოახდინა მანქანა-დანადგარის გაუფასურების ნიშნების იდენტიფიცირება:
 - ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ თავდაპირველი მოლოდინი აქტივის წარმადობის და წარმოებული პროდუქციის ხარისხის შესახებ ძალიან ოპტიმისტური იყო და ახალი შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ მისი მაჩვენებლები ფაქტობრივად განახევრებულია (ინფორმაციის შიდა წყარო).
- გაუფასურების იდენტიფიცირებული ნიშანი აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე მიუთითებს, რადგან მისი გამოყენება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში საწარმოს, სავარაუდოდ, ვეღარ მოუტანს დაგეგმილ ეკონომიკურ სარგებელს. აქედან გამომდინარე A საწარმომ უნდა განსაზღვროს დანადგარის ანაზღაურებადი ღირებულება. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ მანქანა-დანადგარის ანაზღაურებადი ღირებულება განსაზღვროს გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რადგან მიიჩნევს, რომ გამოყენების ღირებულება საუკეთესოდ აღწერს იმ სიდიდეს, რის მიღებასაც საწარმო აქტივიდან მოეღოს;

მანქანა-დანადგარის გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, საწარმო იყენებს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს, რომელიც ასახავს:

- სახერხი დაზგის გამოყენებით მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოსვლას,
- სახერხი დაზგის გამოყენებისთვის საჭირო დანახარჯებს - 2,500 ლარი წლიურად, რომელიც აუცილებელია მანქანა-დანადგარის მიმდინარე მდგომარეობით მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის დონის შესანარჩუნებლად.

წელი	მომავალი ფულადი ნაკადის შემოსვლა (ლარი)	მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინება (ლარი)	სახერხი დაზგის გამოყენებით მოსალოდნელი წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (ლარი)
20X1	19,000	2,500	16,500
20X2	20,000	2,500	17,500
20X3	18,000	2,500	15,500
20X4	17,000	2,500	14,500
20X5	16,000	2,500	13,500
გამოყენების ღირებულება (ლარი):			77,500

რადგან საწარმოს ხელმძღვანელობა წინდახედულობის პრინციპით ხელმძღვანელობს და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოსვლას პესიმიტური სცენარით აფასებს, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ანაზღაურებადი ღირებულების დასადგენად სხვა დამატებითი კორექტირებების გაკეთება არ არის საჭირო. შესაბამისად, სახერხი დაზგის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას საწარმოს ხელმძღვანელობა ახდენს გამოყენების ღირებულებაზე დაყრნობით, რაც 77,500 ლარს შეადგენს.

9.3 როდესაც საწარმო ადგენს აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნებს, მან უნდა გაითვალისწინოს, სულ მცირე, შემდეგი ნიშნები:

ინფორმაციის გარე წყაროები

(ა) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივის საბაზრო ღირებულება (ან საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასება) უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა ჩვეულებრივი გამოყენების ან დროის გასვლის შედეგად;

მაგალითი 3- აქტივის საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვნად შემცირება

01/01/20X1 წელს A საწარმო 21,000 ლარად ყიდულობს დანადგარს (A დანადგარი).

20X2 წელს ახალი ტექნოლოგია ნაკლებად ძვირი დანადგარის მეშვეობით A დანადგარის ფუნქციის შესრულების საშუალებას იძლევა. ამიტომ, აშკარაა, რომ A დანადგარის მომსახურების პოტენციალის მქონე დანადგარების საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა 20X2 წელს, რადგან ახალი შემცველი დანადგარი მხოლოდ 10,000 ლარი ღირს. ეს ინფორმაცია მიუთითებს, რომ 31/12/20X2 წელს A დანადგარი გაუფასურებულია.

- (ბ) მოცემულ პერიოდში მომხდარი ან ახლო მომავალში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საწარმოზე, ან ახლო მომავალში მოახდენს;

მაგალითი 4- ტექნოლოგიური გარემოს ცვლილებები

01/01/20X1 წელს A საწარმო ყიდულობს ანალოგიურ მოწყობილობას დიაგნოსტიკური მომსახურების გასაწევად. ხელმძღვანელობა მოელოს, რომ ამ მოწყობილობას 10 წლის განმავლობაში გამოიყენებს.

20X2 წლის ბოლოს გამოჩნდა ახალი და მნიშვნელოვნად უკეთესი ციფრული დიაგნოსტიკური ტექნოლოგიები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მომდევნო ერთი ან ორი წლის განმავლობაში განაპირობებენ ანალოგიურ დიგნოსტიკურ მოწყობილობებზე მოთხოვნის გაქრობას.

ამიტომ, **31/12/20X2** წელს A საწარმო მოელოს, რომ ის თავის ანალოგიურ მოწყობილობას **20X3** წლის ბოლოს ჩაანაცვლებს ციფრული მოწყობილობით. ეს ინფორმაცია მიანიშნებს, რომ ანალოგიური მოწყობილობა გაუფასურებულია.

მაგალითი 5- ცვლილებები სამართლებრივ გარემოში

01/01/20X1 წელს A საწარმომ შეიძინა ფორმალდეჰიდის თხევადი საღებავის აეროგრაფი, მის მიერ წარმოებული ავეჯის შესაღებად. ხელმძღვანელობა მოელოს, რომ ამ მოწყობილობას 10 წლის განმავლობაში გამოიყენებს.

20X2 წლის ბოლოს მთავრობამ მოულოდნელად მიიღო კანონი, რომლითაც **20X3** წლის შუა რიცხვებიდან იკრძალება ფორმალდეჰიდის გამოყენება. ამიტომ, **31/12/20X3** წელს ხელმძღვანელობა მოელოს, რომ მნიშვნელოვან დანახარჯს გასწევს თავისი თხევადი აეროგრაფის სისტემის მოდიფიცირებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გამოყენება იმ მასალებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ახალ კანონმდებლობას.

ეს ინფორმაცია მიანიშნებს, რომ **31/12/20X2** წელს ფორმალდეჰიდის თხევადი საღებავის აეროგრაფის სისტემა გაუფასურებულია.

- (გ) საწარმოს საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება მეტია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ, მთელი საწარმოს საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებაზე (მაგალითად, საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასება ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს საწარმოს გასაყიდი ფასის განსაზღვრისთვის, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად გაყიდვის განზრახვის შემთხვევაში).

მაგალითი ნ- საწარმოს გაყიდვა

A საწარმო ურბანული მეზობლისა და გამწვანების მომსახურებას ეწევა თბილისში არსებული თავისი შენობა-ნაგებობებიდან, სადაც განლაგებულია ასევე მისი დანადგარები.

20X1 წელს A საწარმოს ოთხი აქციონერიდან (ოჯახის A ტრასტი) ერთ-ერთმა აქციონერმა აიღო A საწარმოს აქციების გაყიდვის ვალდებულება.

31/12/20X1 წელს:

- A საწარმოს წმინდა აქციების საბალანსო ღირებულება არის 131,000 ლარი (გაუფასურების შეფასებამდე);
- ორმა პოტენციურმა მყიდველმა წარმოადგინა თავიანთი წინადადებები A საწარმოს აქციების 25%-ის ყიდვაზე ოჯახის A ტრასტისგან:
 - B საწარმო სთავაზობს 25,000 ლარს; ხოლო
 - C საწარმო სთავაზობს 25,500 ლარს.

ეს ინფორმაცია მიუთითებს, რომ A საწარმოს ზოგიერთი აქტივი გაუფასურებულია, რადგან ექსტრაპოლაციის (განზოგადების) საფუძველზე ისინი A საწარმოს დაახლოებით 100,000 ლარად აფასებენ, როდესაც მისი საბალანსო ღირებულება 131,000 ლარია.

ინფორმაციის შიდა წყაროები

- (ა) არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშანი;
- (ბ) მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან მოსალოდნელი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. ამგვარ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის მოცდენა, იმ საქმიანობის შეწყვეტის ან ცვლილების გეგმები, რომლისთვისაც გამოიყენება აქტივი, ასევე ნავარაუდევ თარიღზე უფრო ადრე აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა;

აქტივი მიიჩნევა, რომ მოცდენილია, თუ საწარმო არ იყენებს ან ახლო მომავალში შეწყვეტს მის გამოყენებას. მოცდენილი აქტივების სხვა მაგალითებია მიმდინარე მშენებლობა, რომელიც აღარ არის მოსალოდნელი, რომ დასრულდება ან მოსალოდნელი აღარ არის, რომ მისი დასრულება ეკონომიკურად სასარგებლოა. მსგავს სიტუაციებში საჭიროა მოცდენილი აქტივის გაუფასურებაზე შეფასება.

- (გ) შიდა ანგარიშებიდან ჩანს, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები ან წარმადობა მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება. ამ კონტექსტში აქტივის ეკონომიკური მაჩვენებლები მოიცავს საოპერაციო შედეგებსა და ფულად ნაკადებს.

მაგალითი 7- აქტივის შემცირებული წარმადობა

01/01/20X1 წელს A საწარმომ 21,000 ლარად შეიძინა დანადგარი, რომელსაც გამოიყენებს ხის ავეჯის საწარმოებლად. A საწარმო ამ დანადგარს წრფივი მეთოდით არიცხავს ცვეთას 3 წლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში, ნულოვან ნარჩენ ღირებულებამდე. შესაბამისად, წლიური ცვეთა არის **7,000** ლარი (ანუ **21,000** ლარი/3 წლიან მომსახურების ვადაზე).

ხელმძღვანელობის მოლოდინები **01/01/20X1** წელს:

- დანადგარი **150** ხის მაგიდას აწარმოებს წელიწადში;
- ამონაგები 45,000 ლარის ოდენობით (ანუ **150** მაგიდა წელიწადში x **3** წელზე x **100** ლარ გასაყიდ ფასზე).

თუმცა, **20X1** წელს A საწარმომ მხოლოდ 80 მაგიდა აწარმოა.

31/12/20X1 წელს ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მისი თავდაპირველი მოლოდინი გაყიდვების შესახებ ძალიან ოპტიმისტური იყო და ახლა ის მოელის მხოლოდ 21,000 ლარის მიღებას მაგიდების გაყიდვიდან ამონაგების სახით **20X2** და **20X3** წელს ჯამურად. ამგვარად, ხელმძღვანელობა მოელის **3,000** ლარის ოდენობით სამომავლო საოპერაციო ზარალის მიღებას:

	წლები 2-3 კუმულაციურად
	ლარი
ამონაგები	21,000
მასალები და სამუშაო ძალა	(10,000)
ცვეთა	(14,000)
საოპერაციო ზარალი	(3,000)

გაუარესებული შიდა ფინანსური პროგნოზი მიუთითებს მანქანის წარმადობის გაუარესებაზე **31/12/20X1** წელს.

გაუფასურების ზარალის აღრიცხვა

9.4 როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასებას, მაშინ საწარმომ აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შეამციროს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასების ოდენობამდე და ამგვარი გაუფასურების ზარალი ხარჯის სახით მაშინვე უნდა აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მას შემდეგ, რაც საწარმო არაფინანსური აქტივის გაუფასურების ნიშნებს დაადგენს და აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას განსაზღვრავს (იხ. პუნქტი 9.2), საწარმომ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება უნდა

შეადაროს აქტივის საბალანსო ღირებულებას. გაუფასურების ზარალი (ხარჯი) მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც საანგარიშგებო თარიღით აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების საიმედო შეფასება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე.

არაფინანსური აქტივისთვის:

- **საბალანსო ღირებულება** არის აქტივის თავდაპირველი თვითღირებულება, შემცირებული დაგროვილი ცვეთით / ამორტიზაციით (თუ ასეთი არსებობს) და დაგროვილი გაუფასურების ზარალით, თუ ასეთი არსებობს (იხ. პუნქტი 7.11); და
- **ანაზღაურებადი ღირებულება** არის საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასებული თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის აქტივიდან (იხ. პუნქტი 2.25).

გაუფასურების ზარალი აისახება საწარმოს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების მუხლში - „გაუფასურების ხარჯი - სხვა არაფინანსური აქტივები“.

მაგალითი 8 - გაუფასურების ზარალის აღრიცხვა

01/01/20X1 წელს A საწარმო **200,000** ლარად ყიდულობს შენობას. ამ შენობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, 20 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ნულოვან ნარჩენ ღირებულებამდე. შესაბამისად, შენობის საბალანსო ღირებულება **31/12/20X5** წელს არის **150,000** ლარი (ანუ **200,000** ღირებულება \times 15 დარჩენილი წელი/20 წლიანი მომსახურების ვადა).

31/12/20X5 წელს მთავრობამ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო A საწარმოს შენობის მახლობლად. ეს უარყოფით გავლენას ახდენს მახლობლად მდებარე შენობების საბაზრო ფასზე. ამიტომ, **31/12/20X5** წელს A საწარმომ გადაწყვიტა ამ შენობის გაყიდვა თავისი საქმიანობის სხვა ტერიტორიაზე გადასატანად.

იმის გამო, რომ არსებობს გაუფასურების ნიშანი, **31/12/20X5** წელს A საწარმო შენობის საბაზრო ღირებულებას აფასებს **100,000** ლარად. ის მოელის ასევე **5,000** ლარის ოდენობით გაყიდვის ხარჯების გაწევას.

ვინაიდან **31/12/20X5** ანგარიშგების თარიღისთვის შენობის საბალანსო ღირებულება (150,000 ლარი) აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას 95,000 ლარს (100,000 – 5,000 ლარი), A საწარმომ 20X5 წელს უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი 55,000 ლარი (150,000 საბალანსო ღირებულებას – 95,000 ანაზღაურებადი ღირებულება). ამიტომ, A საწარმო:

გაუფასურების ზარალს ასახავს 20X5 წლის შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების მუხლში: „გაუფასურების ხარჯი - სხვა არაფინანსური აქტივები“; და

შენობას 95,000 ლარად ასახავს თავისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შემდეგ მუხლში: „ვრძელვადიანი აქტივები: შენობები“ (ანუ

შენობის საბალანსო ღირებულებას 150,000 ლარიდან ამცირებს საანგარიშგებო თარიღით ანაზღაურებად ღირებულებამდე).

31/12/20X5 წელს A საწარმო შემდეგ ბუღალტრულ გატარებებს ასრულებს:

ანგარიში	დებიტი (ლარი)	კრედიტი (ლარი)
გაუფასურების ზარალი - სხვა არაფინანსური აქტივები	55,000	
გრძელვადიანი აქტივები: შენობები		55,000

გაუფასურების ზარალის შემცირება

9.5 დაუშვებელია, რომ საწარმომ მოახდინოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება.

გადაწყვეტილების ხე: არაფინანსური აქტივების გაუფასურებისადმი მიდგომა მე-9 განყოფილების მოქმედების სფეროში

